

COMPOSITION OF UNIVERSALS IN THE FOLKLORE OF THE LIAKHVI GORGE

უნივერსალების კომპოზიცია ლიახვის ხეობის ფოლკლორში

Aleksandre Mgebrishvili

Doctor of Philological Sciences,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

Abstract. A fairy tale is a form of verbal artistry rooted in fiction. Throughout the centuries, it has remained ever-relevant to successive generations, possessing a unique ability to evolve, enrich itself, and adapt to the shifting demands and aspirations of new eras. The characters within fairy tales embody diverse archetypes and serve distinct purposes. Protagonists, as agents of virtue, strive to vanquish evil, overcome moral corruption, and restore harmony between goodness, beauty, and malevolence, all in pursuit of a brighter future.

Among the many forms of fairy tales, alongside animal fables and domestic narratives, the magical fairy tales stand as one of the most prevalent and enduring genres.

In shaping the “composition of a magical fairy tale, a pivotal role is played by rich, formulaic structures—referred to in contemporary scholarship as “**universals**”. These universal elements encompass verbal formulas, the distinctive properties of enchanted objects, and clusters of semantically interconnected motifs. Rather than belonging to any single fairy tale, they are intrinsic to the entire fairy-tale tradition. Beyond these universals, the construction of a fairy tale is supported by numerous components, each varying in content and function. These elements, though relatively independent and self-contained, cannot individually form a cohesive narrative. A tale achieves its wholeness only through the internal interconnection of these elements, wherein the logical progression of events is meticulously maintained. Regarding the essence of composition, it is ultimately defined by the dynamic interplay of its components, ensuring both artistic depth and informational completeness”.

It is evident that these universals are also present in the folklore of the Liakhvi Gorge. Let us examine them in sequence. For illustration, we will present several fairy tales recorded by Aleksandre Machabeli in the villages of the Liakhvi Gorge during the latter half of the 19th century. These tales were published in the same period in “Akaki’s Monthly Collection”.

Key words: Liakhvi Gorge, oral tradition, Aleksandre Machabeli, universals, "Akaki's Monthly Collection", a magical fairy tale.

ალექსანდრე მღებრიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
 გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
 ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
 +995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

აბსტრაქტი. ზღაპარი წარმოადგენს სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშს, რომელიც გამონაგონზეა დაფუძნებული. საუკუნეების განმავლობაში ის ყოველთვის რჩებოდა თაობათა თანამედროვეს, სწორედ მას ძალუძს ახალ ეპოქათა გამოწვევების კვალდაკვალ გარდაიქმნას, შეივსოს და აღიჭურვოს ახალი შესაძლებლობებითა და საჭიროებებით. ზღაპარში საგანგებოდ დახატულ სხვა დასხვა სახისაა და სხვადასხვა მიზანს ემსახურება. მთავარი მოქმედი გმირები სიკეთის ქმნით იბრძვიან ბოროტების დასამარცხლებლად, იბრძვიან ყოველგვარ მანკიერ მხარეთა დასაძლევად და სიკეთის, მშვენიერების და უკეთის მერმისის დასამკვიდრებლად.

ცხოველთა, თუ საყოფაცხოვრებო-ნომელისტურ ზღაპრებთან ერთად ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ჯადოსნური ზღაპარი.

ჯადოსნური ზღაპრის „კომპოზიციის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს საზღაპრო ეპოსში დაუნჯებული სიმდიდრე-მზამზარეული წარმონაქმნები, ანუ „საერთო ადგილები“, რომლებსაც თანამედროვე მეცნიერებაში მოიხსენიებენ ტერმინით „**უნივერსალიები**“. ჯადოსნურ ზღაპარში ასეთი უნივერსალური მასალიდან უნდა გამოვყოთ სიტყვიერი ფორმულები, სასწაულებრივ საგანთა თვისებები დაერთმანეთთან სემანტიკურად დაკავშირებულ მოტივთა კომპლექსები. ისინი ერთი რომელიმე ზღაპრის კი არა, მთელი საზღაპრო ეპოსის საკუთრებაა. მათ გარდა, ზღაპრის აგებას ხელს უწყობს ერთმანეთისგან შინაარსით და დანიშნულებით განსხვავებული მრავალი კომპონენტი, რომელთაც ახასიათებთ შდარებითი დამოუკიდებლობა და დასრულებულობა. კომპოზიციურად როგორი მწყობრიც არ უნდა იყოს ეს კომპონენტები, თითოეულ მათგანს დამოუკიდებლად არ შეუძლია მთელის შექმნა. მთელი წარმოიქმნება მხოლოდ ამ ელემენტთა შინაგანი ურთიერთკავშირის საფუძველზე, რომლის დროსაც გათვალისწინებულია ელემენტთა ლოგიკური თანამიმდევრობა, რაც შეეხება კომპოზიციის შინაარსს, იგი დაფუძნებულია ელემენტთა ურთიერთმოქმედებაზე, მათ მხატვრულ-ინფორმაციულ სისრულეზე.“

ცხადია, რომ ხსენებული უნივერსალები გვხვდება ლიახვის ხეობის ფოლკლორშიც. მოვყვით თანამიმდევრულად. საილუსტრაციოდ. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ალ. მაჩაბლის მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლიახვის ხეობის სოფლებში ჩაწერილ ზოგიერთ ზღაპარს, რომლებიც იმავე პერიოდში გამოქვეყნდა „აკაკის თვითურ კრებულში“.

საკვანძო სიტყვები: ლიახვის ხეობა, ზეპირსიტყვიერება, ალექსანდრე მაჩაბელი, უნივერსალიები, „აკაკის თვითური კრებული“, ჯადოსნური ზღაპარი.

შესავალი. ზღაპარი წარმოადგენს სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშს, რომელიც გამონაგონზეა დაფუძნებული. საუკუნეების განმავლობაში ის ყოველთვის რჩებოდა თაობათა თანამედროვეს, სწორედ მას ძალუძს ახალ ეპოქათა გამოწვევების კვალდაკვალ გარდაიქმნას, შეივსოს და აღიჭურვოს ახალი შესაძლებლობებითა და საჭიროებებით. ზღაპარში საგანგებოდ დახატულ სხვა დასხვა სახისაა და სხვადასხვა მიზანს ემსახურება. მთავარი მოქმედი გმირები სიკეთის ქმნით იბრძვიან ბოროტების დასამარცხლებლად, იბრძვიან ყოველგვარ მანკიერ მხარეთა დასაძლევად და სიკეთის, მშვენიერების და უკეთის მერმისის დასამკვიდრებლად.

ცხოველთა, თუ საყოფაცხოვრებო-ნომელისტურ ზღაპრებთან ერთად ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ჯადოსნური ზღაპარი.

ჯადოსნური ზღაპრის „კომპოზიციის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს საზღაპრო ეპოსში დაუნჯებული სიმდიდრე-მზამზარეული წარმონაქმნები, ანუ „საერთო ადგილები“, რომლებსაც თანამედროვე მეცნიერებაში მოიხსენიებენ ტერმინით „**უნივერსალები**“. ჯადოსნურ ზღაპარში ასეთი უნივერსალური მასალიდან უნდა გამოვეყნოთ სიტყვიერი ფორმულები, სასწაულებრივ საგანთა თვისებები დაერთმანეთთან სემანტიკურად დაკავშირებულ მოტივთა კომპლექსები. ისინი ერთი რომელიმე ზღაპრის კი არა, მთელი საზღაპრო ეპოსის საკუთრებაა. მათ გარდა, ზღაპრის აგებას ხელს უწყობს ერთმანეთისგან შინაარსით და დანიშნულებით განსხვავებული მრავალი კომპონენტი, რომელთაც ახასიათებთ შდარებითი დამოუკიდებლობა და დასრულებულობა. კომპოზიციურად როგორი მწყობრიც არ უნდა იყოს ეს კომპონენტები, თითოეულ მათგანს დამოუკიდებლად არ შეუძლია მთელის შექმნა. მთელი წარმოიქმნება მხოლოდ ამ ელემენტთა შინაგანი ურთიერთკავშირის საფუძველზე, რომლის დროსაც გათვალისწინებულია ელემენტთა ლოგიკური თანამიმდევრობა, რაც შეეხება კომპოზიციის შინაარსს, იგი დაფუძნებულია ელემენტთა ურთიერთმოქმედებაზე, მათ მხატვრულ-ინფორმაციულ სისრულეზე.“

ცხადია, რომ ხსენებული უნივერსალები გვხვდება ლიახვის ხეობის ფოლკლორშიც. მოგვცეთ თანამიმდევრულად. საილუსტრაციოდ. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ალ. მაჩაბლის მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლიახვის ხეობის სოფლებში ჩაწერილ ზოგიერთ ზღაპარს, რომლებიც იმავე პერიოდში გამოქვეყნდა „აკაკის თვითურ კრებულში“.

მეთოდები. ტექსტში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: შედარება, ანალიზი, განზოგადება და სხვ. გამოყენებული შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი მოიცავს დასახელებულ თეორიულ მეთოდოლოგიებს.

შედეგები და მსჯელობა. ზღაპარი წარმოადგენს სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშს, რომელიც გამონაგონზეა დაფუძნებული. საუკუნეების განმავლობაში ის ყოველთვის რჩებოდა თაობათა თანამედროვეს, სწორედ მას ძალუძს ახალ ეპოქათა გამოწვევების კვალდაკვალ გარდაიქმნას, შეივსოს და აღიჭურვოს ახალი შესაძლებლობებითა და საჭიროებებით. ზღაპარში საგანგებოდ დახატულ სხვა დასხვა სახისაა და სხვადასხვა მიზანს ემსახურება. მთავარი მოქმედი გმირები სიკეთის ქმნით იბრძვიან ბოროტების დასამარცხლებლად, იბრძვიან ყოველგვარ მანკიერ მხარეთა დასაძლევად და სიკეთის, მშვენიერების და უკეთის მერმისის დასამკვიდრებლად.

ცხოველთა, თუ საყოფაცხოვრებო-ნომელისტურ ზღაპრებთან ერთად ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ჯადოსნური ზღაპარი.

ჯადოსნური ზღაპრის „კომპოზიციის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს საზღაპრო ეპოსში დაუნჯებული სიმდიდრე-მზამზარეული წარმონაქმნები, ანუ

„საერთო ადგილები“, რომლებსაც თანამედროვე მეცნიერებაში მოიხსენიებენ ტერმინით „**უნივერსალები**“. ჯადოსნურ ზღაპარში ასეთი უნივერსალური მასალიდან უნდა გამოვეყოთ სიტყვიერი ფორმულები, სასწაულებრივ საგანთა თვისებები დაერთმანეთთან სემანტიკურად დაკავშირებულ მოტივთა კომპლექსები. ისინი ერთი რომელიმე ზღაპრის კი არა, მთელი საზღაპრო ეპოსის საკუთრებაა. მათ გარდა, ზღაპრის აგებას ხელს უწყობს ერთმანეთისგან შინაარსით და დანიშნულებით განსხვავებული მრავალი კომპონენტი, რომელთაც ახასიათებთ შდარებითი დამოუკიდებლობა და დასრულებულობა. კომპოზიციურად როგორი მწყობრივ არ უნდა იყოს ეს კომპონენტები, თითოეულ მათგანს დამოუკიდებლად არ შეუძლია მთელის შექმნა. მთელი წარმოიქმნება მხოლოდ ამ ელემენტთა შინაგანი ურთიერთკავშირის საფუძველზე, რომლის დროსაც გათვალისწინებულია ელემენტთა ლოგიკური თანამიმდევრობა, რაც შეეხება კომპოზიციის შინაარსს, იგი დაფუძნებულია ელემენტთა ურთიერთმოქმედებაზე, მათ მხატვრულ-ინფორმაციულ სისრულეზე.“ (ქურდოვანიძე, 2011: 149)

ცხადია, რომ ხსენებული უნივერსალები გვხვდება ლიახვის ხეობის ფოლკლორშიც. მოვეყვით თანამიმდევრულად. საილუსტრაციოდ. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ალ.მაჩაბლის მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლიახვის ხეობის სოფლებში ჩაწერილ ზოგიერთ ზღაპარს, რომლებიც იმავე პერიოდში გამოქვეყნდა „აკაკის თვითურ კრებულში“.

ტექსტებში მოცემულ მოქმედებათა უმრავლესობას გააჩნია დასაწყისი-განვითარება-დასასრული. ყოველი მოქმედება ერთი თემის ირგვლივ ვითარდება, ხოლო მთლიანობაში ისინი კანონზომიერად ლაგდებათა ძირითადი ხაზის ირგვლივ, იძენენ ძირითადი კვანძის გასახსნელ დამხმარე ფუნქციას.

ვფიქრობთ, სწორედ ის გარემოება, რომ ჯადოსნური ზღაპრის შემდგენელი ყოველი ნაწილი გვევლინება გარკვეულად დასრულებულ ერთეულად, ხოლო ასეთი ელემენტების მიერ შენარჩუნებული ურთიერთკავშირი განაპირობებს საერთო ამბის მთლიანობის ურღვევობას, არის ერთიანობისა და კომპოზიციური გამართულობის ინდიკატორიცა და გამნაპირობებელიც.

ჯადოსნური ზღაპრისთვის დამახასიათებელ მზა ფორმულირებას შორის შეიძლება გამოიყოს ქართულ ხალხურ ზღაპრებში განფენილი მაგიური საშუალებების პალიტრა. ყველაზე უფრო ხშირად ეს საშუალებები (საგნები, თვისებები, ცხოველები) ითვისებენ ერთგვარი დამხმარის ფუნქციას.

მაგ. „**მოვიდა ერთ საყდარში, შევიდა, დაწვა და დაიძინა. შუალამე, რომ შეიქმნა, შემოფრინდა ერთი მტრედი, პირის წკეპლები ეჭირა, დაჯდა ერთს სასაფლაოზე, იქცა ქალად, აიღო ეს წკეპლები, დაჰკრა ამ საფლავეს, და საფლავიდან წამოდგა ერთი მშვენიერი ყმაწვილი.**“ (აკაკის თვითური კრებული, 1899გ: 9)

ზღაპარში ხშირია მაგიურ საშუალებათა და მათ მიერ განხორციელებულ მოქმედებათა სასიციცხლო ენერგიებთან დაკავშირება. საუბარი ეხება პერსონაჟის როგორც მოკვლის, ასევე გაცოცხლებულის პროცესს. ჯადოსნურ ზღაპარში ნებისმიერ ზღაპარს შეუძლია ამ მოქმედებათა განხორციელება.

თ. ქურდოვანიძის მიხედვით, პერსონაჟის მოკვლევა მრავალნაირი საშუალებით ხორციელდება. ესენია: ყვავილის შეხება, ვაშლის შეჭმა, ქალის პირიდან ამოფრენილი არწივი, ამოგლეჯილი თმა, მათრახის, ხმლის, კომბლის და სხვ. დარტყმა. (ქურდოვანიძე, 2011: 155)

ჩვენ შემთხვევაში მაგიური საშუალებას წარმოადგენს წკეპლა:

„**აიღო ეს წკეპლები, დაჰკრა ამ საფლავესა და საფლავიდან წამოდგა ერთი მშვენიერი ყმაწვილი . ეს ქალი მიეალერსა, დაიწყეს ორივემ ტრფიალი და ხვევნა-კოცნა. ამ ქალმა, რომ მოისურვილა, ეს წკეპლები ისევ დაჰკრა და ყმაწვილი ისევ საფლავეში ჩავიდა; მოვიდა და ქალმა ქვა დაადო. იქცა ქალი მტრედად, უნდოდა გაფრენილიყო და ამ ბიჭმა სტაცა ხელი,**

მტრედი გაუფრინდა, წკეპლები კი ხელში შერჩა. აიღო ეს წკეპლები, დაჰკრა ამ საფლავსა და წამოდგა მიცვალებული.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899გ: 9)

წკეპლა ასრულებს ადამიანის როგორც მოკვდინების, ისე გამცოცხლებლის ფუნქციას. გაცოცხლებისა და მოკვლის ფუნქციის მატარებლობა ერთი საგნის მიერ, ასევე ტიპიური უნივერსალების ერთ-ერთ ხაზს წარმოადგენს.

ზღაპროს პერსონაჟის ტრანსფორმაცია, მისი გადაქცევა ფრინველად, ცხოველად ან სხვა სულიერ ან უსულო საგნად, ფართოდ გავრცელებული სიუჟეტური ელემენტია. როგორც წესი ის ხორციელდება მაგიური საგნის დახმარებით. ჩვენს შემთხვევაში გმირის სახეცვლილების, მისი ფრინველიდან ადამიანად ქცევის აქტი ხორციელდება გამოკვეთილად ხილული მაგიური საშუალებების დახმარების გარეშე.

„შემოფრინდა ერთი მტრედი, პირში წკეპლები ეჭირა, დაჰკრა ერთს საფლავზე, იქცა ქალად.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899გ: 9)

ან კდევ:

„იქცა ქალი მტრედად, უნდოდა გაფრენილიყო...“ (აკაკის თვითური კრებული, 1899გ: 9)

მსგავსი ტიპის მაგიური მოქმედებები ქართულ ხალხურ ზღაპრებში, უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ მოქმედების განვითარების ფუნქციის მატარებელი არიან.

ვინაიდან მკითხველი საზოგადოებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია XIX საუკუნეში ლიახვის ხეობაში ჩაწერილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გაცნობა, ვფიქრობთ ინტერეს მოკლებული არ იქნება დღეისთვის განსახილველი ტექსტების წარმოდგენა.

ზემოთ მოხმობილი ამონარიდები მოვიტანეთ სოფ. ქურთაში მოსმენილი ზღაპრიდან „ყაჩაღების ამხანაგი.“

„ყაჩაღების ამხანაგი (ზღაპარი ქურთაში გაგონილი). ერთ ქალაქში ცხოვრობდა ერთი ცოლ-ქმარი; გაჭირვებით გამოზარდეს თავიანთი ერთად-ერთი შვილი. რომ დაეაწყაცდა, დედას უთხრა: დედი, მე მიიღე ჩემი მომავალი ყისმათი ვეძებო, ამისათვის მიყიდე ქიშმიში; წავალ, ქიშმიშის ჭამას დავიწყებ გზა-გზა და სადაც გამითავდება, ჩემი ყისმათი იქ უნდა მოვძებნო. დედამ უყიდა ქიშმიში, მან ჩაიყარა ჯიბეში, გაიყოლა დედა უკან და წავიდა. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ ქალაქში. გაიარეს ერთი სარდაფის წინ და ქიშმიში სწორედ იქ, იმის კარებზე გაუთავდა. გაჩერდა იქა და დედას უთხრა: ჩემი მომავალი ბედი აქ, ამ სარდაფში უნდა იყოსო. დედას იქ მოაცდევინა და თვითონ იმ სარდაფში ჩავიდა. შეხედა, რომ ცხრა ყაჩაღი ზის და ქეიფობს. რა დაინახეს უცაბედი სტუმარი, მიიწვიეს სუფრაზე და ვინაობა გამოჰკითხეს. მან ყველა უამბო და უთხრა, რომ მომავალი ბედის-წერა აქ უნდა ვიპოვო თქვენთან, სხვაგან გზა არა მაქვსო. მაგრამ ამან უთხრა ყაჩაღებს: დედაჩემი კარებზე მიცდის, საზრდო უნდა მივცე რამე და მე თქვენ მოგეკედლოთო. ყაჩაღებმა მისცეს ასი თუმანი, იმანაც მიუტანა დედას და სახლში გაისტუმრა. რომ ივახშმეს, მაშინ დაიწყეს თათბირი, თუ ვინ წასულიყო სადავლოდ. წილი ამ ახალ ამხანაგს არგუნეს, გაგზავნეს, აბა ვნახოთ, როგორი გამარჯვებული მოგვივაო. წავიდა საწყალი ქალაქში. შიშისაგან და სირცხვილისაგან ვერსად ვერა გაბედა-რა. ბოლოს მივიდა და აიტუზა ერთი საწყალი ხარაზის დუქანთან. ხარაზი ფეხსაცმელებს ჰკერავდა. ეს კაცი ამას უცდიდა, აცა, როდის დაიძინებს და ეგება მოვპარო რამეო. დაღალულმა ხარაზმა დაანება საქმეს თავი და ჩასთვლიმა, სანათი კი ისევ ენთო. ახლა ეს ყაჩაღი უცდის სანათის ჩაქრობას, რომ ბნელაში შევიდეს და მოიპაროს რამე. როდესაც ამის ფიქრშია, უცბად წამოვიდა ზევიდან ერთი მზეთ-უნახავი ქალი, დაავლო ამ კაცს მხრებში და როგორც უნდა აიტაცოს, ვერც მოერია და ამ დროს ამ ბიჭმაც სტაცა მაჯაში ხელი; გაუსხლტა ხელიდგან და ბიჭს მისი ოქროს ძვირფასი სამაჯური შერჩა ხელთ. ესამოვნა ამ კაცს ეს ამბავი, აღარ შევიდა ხარაზის დუქანში გასაქურდად და თავის ამხანაგებთან

დაბრუნდა ძვირფასი საჩუქრით. მათ, რასაკვირველია, დიდად იამათ ამხანაგის ნაშოვრით დაბრუნება. მეორე დილას მასვე გაატანეს გასაყიდად, აბა რას შემოგაძლევნო. წაიღო გასაყიდად. შემოხვდა ერთი სომეხი, უთხრა, ჰყიდიო? უპასუხა: დიახო. რა მოგცე? - განა შენ არ იცი ამისი ფასი? - სომეხმა ათი თუმანი აძლია. ამ კაცს ტყუილი ეგონა და საყვედური უთხრა: რას მეხუმრებო. მან ოცი თუმანი შეაძლია. რას ამბობ, კაცო, მასხარად ვის იგდებო? სომეხმა თავი ანება და წავიდა. მერე შემოხვდა ურია. ჰკითხა, გასაყიდაო? დიახო. ადგა და ოცი თუმანი შეაძლია. მან უპასუხა: რას ამბობ, კაცო, რა დაგმართნია? ურიამ ორმოცი შეაძლია. - წადი, გამეცალე, მასხარად ნუ მიგდებო. მერე ოთხმოცი თუმანი აძლია. ამ კაცს ტყუილი ეგონა და ხმა აღარ გასცა. სწვდა ეს ურია და წაართვა სამაჯური. ეს ხომ ჩემი სახლიდგანა გაქვს მოტაცებულიო. წავიდნენ მეფესთან საჩივრელად, ურიამ დააბეზლა და უთხრა, რომ ეს ყაჩაღების ამხანაგია და სამაჯური მე მომტაცესო. ეს კაცი თავს მართლულობდა, ეუბნებოდა, ჩემია, არ მომიპარავსო, მაგრამ ვინ გაუგონებდა. მაშინ ამ ბიჭმა უთხრა: წამოდით, ყველა ჩემს ამხანაგებს ხელში მოგცემთ, ისინი აქ დაამწყვდიეთ და მე ვადა მომეცით, თუ იმ ვადაზედ ამისთანა სამაჯური მოგიტანეთ, მაშინ ხომ ჩემია და ჩემი, თუ არა და ისინი დაახრჩვეთო. ან არა და თვითონ მაგ ურიამ მოიტანოს და მაშინ მაგისი იქნებაო. წაასხა ხალხი, დააჭერინა ის ყაჩაღები და დაამწყვდიეს. მისცეს ვადა. ეს ბიჭი ადგა და წავიდა. მივიდა ერთ საყდარში, შევიდა, დაწვა და დაიძინა. შუალამე რომ შეიქნა, შემოფრინდა ერთი მტრედი, პირში წკეპლები ეჭირა, დაჯდა ერთს საფლავზე, იქცა ქალად, აიღო ეს წკეპლები, დაჰკრა ამ საფლავს, და საფლავიდან წამოდგა ერთი მშვენიერი ყმაწვილი. ეს ქალი მიეალერსა, დაიწყეს ორივემ ტრფიალი და ხვევნა-კოცნა. ამ ქალმა რომ მოისურვილა, ეს წკეპლები ისევ დაჰკრა და ყმაწვილი ისევ საფლავში ჩავიდა; მოვიდა და ქალმა ქვა დაადო. იქცა ქალი მტრედად, უნდოდა გაფრენილიყო და ამ ბიჭმა სტაცა ხელი, მტრედი გაუფრინდა, წკეპლები კი ხელში შერჩა. აიღო ეს წკეპლები, დაჰკრა ამ საფლავსა და წამოდგა მიცვალებული. მან გამოჰკითხა ვინაობა. გამოჩნდა, რომ ხელმწიფის შვილი იყო ეს საფლავიდან ამდგარი კაცი. ადგნენ და წავიდნენ იმ ქალაქისკენ, საიდანაც ეს ხელმწიფის შვილი იყო. რომ მივიდნენ, მამას ძალიან გაეხარდა თავის დაკარგული შვილის მოსვლა, რომელმაც არ იცოდა საით წასულიყო აგერ ამდენი ხანია. გახარებულმა ხელმწიფემ უთხრა ამ ბიჭს; რა გინდა, მთხოვე და მოგცემო. ბიჭმა მიუგო: შენი არა მინდა-რა, ამისთანა და ამისთანა სამაჯური უნდა მიშოვო, მეტს არასა გთხოვო. ხელმწიფემ უთხრა, მე კი არა მაქვს და ერთ ალაგს, მარმარილოს კოშკი დგას, შიგ სამი და ცხოვრობს და იმით აქეთო. ასწავლა გზა, საით იყო და გაისტუმრა. იარა ამ ბიჭმა, ცოტა თუ ბევრი, აგერ დაიანახა ზღვის იქით ერთი მარმარილოს კოშკი, გააკეთა ნაგ-ტივი, დაჯდა ზედ და უნდა გასულიყო კოშკთან. ამ დროს წამოვიდა ზევიდგან ერთი ქალი, დასწვდა ამ ბიჭს მხრებში, უნდოდა ზღვაში გადაეგდო, მაგრამ ვერ მოერია. ბიჭი სწვდა ფეხში, ვერ დაიმაგრა, ქალი გაექცა და იმისი ოქროს ქოში ხელში შერჩა. მოუსვა და გავიდა კოშკთან. უნახა კარები, შევიდა შიგ, ნახა მშვენიერად მორთული ოთახი, შიგ სუფრა იყო გაშლილი, და რა გინდა სულო და გულო, რომ იქ არ იყო. ეს ბიჭი ტახტ ქვეშ შეძვრა და დაიძალა. მალე შემოვიდა ამ ოთახში ეს სამი და ქალი. მოუსხდნენ სუფრას, ერთმა აიღო ყანწი, დაილოცა და სთქვა: ღმერთმა აცოცხლოს ის ბიჭი, რომელიც ხარაზის დუქანში იჯდა, მე დავსწვდი მას მოსაკლავად, და იმან სამაჯური წამართვაო, დაცალა და დადგა ყანწი. მერე მეორე დაილოცა; ღმერთმა აცოცხლოს ის ბიჭი, რომელმაც, როდესაც ჩემს საყვარელს ვეტრფოდი, საყდარში მითვალთვალა და წკეპლები წამართვაო. მერე მესამე დაილოცა: ღმერთმა აცოცხლოს ის ბიჭი, რომელსაც დავსწვდი, უნდა ზღვაში ჩამეგდო დასადრჩობად და ქოში წამართვაო. ესენი რომ გაიგონა ამ ბიჭმა, გამოძვრა ტახტ - ქვეშიდგან და თავი დაუკრა, ის მე გახლავარო; გაეხარდათ ამათ, დაისვეს თავიანთთან და პური აჭამეს. მერე უთხრეს, რომ ამ სამში ერთი აირჩიე და შეირთეო. ამ ბიჭმა უმცროსი აირჩია, მაგრამ ჯერ თავისი დარდი უამბო, თუ რად მოსულა აქ. რაკი სამაჯური სთხოვა, იმით ბარე ხუთი მოუტანეს

იმისთანები. იმან ორი აიღო, გამოეთხოვა და წამოვიდა. რომ მივიდა იმ ქალაქში, სადაც მისი ამხანაგები იყვნენ, საღრჩობელები უკვე გამართული იყო. მოვიდა და მოუტანა სამაჯური ხელმწიფეს. მერე ურიას მოსთხოვეს, მაგრამ იმან სთქვა, რომ მართო ეგ ერთი მქონდაო. გაამართლეს ეს ბიჭი, დაუბრუნეს სამაჯური, გაუშვეს ყაჩაღები და ეს ურია კი დააღრჩვეს. მაშინ წამოვიდნენ, მოვიდნენ ქალებთან, დაქორწილდა ეს ბიჭი, მაყრებიც ხომ ეს მისი ამხანაგები იყვნენ, წამოიყვანეს პატარძალი ამ ბიჭის დედასთან, წამოჰყვნენ დებიც და ტკბილად დაიწყეს ცხოვრება და დღესაც ბედნიერად სცხოვრობენ.

ჭირი იქ დავაგდე, ლხინი აქ მოვიტანე.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899გ: 9)

ისევე, როგორც ჯადოსნურ ზღაპართა უმეტესობაში მოქმედება მიმდინარეობს სამი სკნელის სივრცის ელემენტებით. წინამდებარე ზღაპარსიც ძირითადი მოქმედების არეალი შუასკნელია. ზესკნელის ელემენტს წარმოადგენს მტრედი., ზეციდან წამოსული ერთ-ერთი პერსონაჟის ეპიზოდი და ა.შ. ხოლო ქვესკნელისკენ მიმავალ გზაზე შუალედური სივრცედ წარმოდგენილია სარდაფი და მასში ჩასვლა ყაჩაღებთან.

საგულისხმო დეტალია ისეიც, რომ ტექსტში სხვადასხვა წერტილს შორის გადაადგილება ხდება ფეხით, ხოლო გზის საწყის ეტაპზე, სახლის დატოვების მომენტში, გზის გამკვლევა ფიგურირებს ქიშმიში (ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშებში ასეთი ტიპის გზამკვლევა პალიტრა მრავალფეროვანია).

მოცემულ ტექსტში მთავარი გმირი შუა სკნელიდან არ გადაადგილდებოდა სხვა სკნელთა სივრცეებში ამიტომ მკითხველი მხოლოდ ამ სკნელთა სიუჟეტში შემოჭრილ ელემენტებზე დაკვირვებით უნდა შემოიფარგლოს.

ლიახვის ხეობის ფოლკლორის არც თუ ისე მრავალრიცხოვან ნიმუშებში მოიპოვება უნივერსალების ისეთი თვალსაჩინო სიუჟეტი, როგორიც გახლავთ „კარგი ცოლის“ ეპიზოდი.

გავეცნოთ ამ ტექსტს:

„პურის მარცვალი. ერთ სახელმწიფოში იპოვეს ვარიის კვერცხის ოდენი პურის მარცვალი, გაუკვირდათ ყველას. მიუტანეს თავიანთ ხელმწიფეს; ხელმწიფეც დიდათ გაოცდა, ამოდენა პურის მარცვლის მნახველი არ იყო. გაგზავნა თავის კაცები, უთხრა: იპოვეთ ვინმე, იქნება იცოდეს თუ რამ მოიყვანა ამ სისხო პურიო. იარეს ბევრი, შემოიარეს ის სახელმწიფო, მეორე, მესამე, მაგრამ, ვერც მომსწრე. ბოლოს გაასწავლეს: ამა და ამ სახელმწიფოში სცხოვრობს სამი ძმა კაცი, იმათი ხნისა ქვაც აღარა გორავს, თუ ეცოდინებათ, იმათ ეცოდინებათო. წავიდნენ, მივიდნენ იმ სახელმწიფოში, სადაც ის სამი ძმა კაცი ცხოვრობდა. შევიდნენ სულ უმცროსი ძმის სახლში; ისე დაბერებულიყო, რომ სიბერისაგან ხავსი მოჰკიდებოდა და სოკოები ამოსვლოდა სახეზედ. აჩვენეს ეს პურის მარცვალი, ჰკითხეს: მომსწრე ხომ არა ხარ, რამ გაზარდა ამოდენიო? მაგრამ იმან მიუგო: „მე არც მომსწრე ვარ და არც გამიგია რამე, წადით, აგერ იქ ჩემი უფროსი ძმა დგას და იმასა ჰკითხეთო“. ესენი წავიდნენ, მივიდნენ იმისას, ის უარესი დაბერებული იყო. ვერც იმან უთხრა რამე და თავის უფროს ძმასთან გაასწავლა. უფროსთან რომ მივიდნენ, დერეფანში ტახტი იდგა და იქ ეძინა. იმისთანა შავი თმა და წვერ-ულვაში ჰქონდა, როგორც გიშერი, ჯერ ერთი ჭადარაც არ გამორეოდა და არც სახე დაღმეჭოდა. ცოლი გამოეგება, ჰკითხა ვინაობა და რა უნდოდათ, იმათ მიუგეს, გვინდა ვკითხოთ რამეო. ცოლმა გაღვიძება ვერ გაბედა, ჩაიცვა ქოშები და ბაკა-ბუკით გაიარ-გამოიარა მზინარის გვერდით. კაცს ფეხის ხმაზე გამოელვია, წამოდგა - რას მალვობ, რა გინდაო? ცოლმა მიუგო: „ხელმწიფის გამოგზავნილი კაცები გეახლნენ, საკითხავი აქვსთ რამეო“. მოჰკითხა ცოლს სარკე, ჩაიხედა, გააქნია თავი და სთქვა: „ჩემს უნებურად რაკი გამომელვია, ერთი ბეწვი გამითეთრდაო“. ბოლოს მიუბრუნდა ამ კაცებს და უთხრა: „რა საკითხავი გაქვსთ, რად გარჯილხართო?“ ამათ აჩვენეს ეს პურის მარცვალი და ჰკითხეს: „მომსწრე კაცი ხარ, გვითხარ რამ მოიყვანა ამისიხო პურიო?“ ამან დახედა და სთქვა: მე მზა ვაშკაცი ვიყავ,

გუთანს ვეჭიდე, როცა ეს პური მოვიდა; რომ დავთესეთ, მაისის თვეში ამინდმა ხელი შეუწყო, ღამე წვიმდა სულ მუდა და დღე დარი იდგა. არც ავდარმა გალახა და არც კაი დარმა, მაშინ მოვიდა ეს პური. წისქვილმა რომ ვეღარ დაფქვა, სხვა წისქვილები შემოვიღეთ და ისე ვფქვავდითო“. ამათ მადლი უთხრეს და წამოვიდნენ, გზაში იფიქრეს; ბიჭოს, რატომ ის კი აღარ გვითხეთ, თუ ის ორი უმცროსი ისე დაბერებულიყვნენ, ეს უფროსი კი რატომ არაო; იმას არა ეტყობოდა რა სიბერისა, მოდი, წავიდეთ ვკითხოთო. გამოტრიალდნენ, მივიდნენ. ამ კაცმა უთხრა: „რა იყო, რაღად დაბრუნდითო?“ - „არაფერი, შენი ჭირიმე, გვინდა გვითხოთ, რა მიზეზია, რომ შენ უფრო ახალგაზრდა ჩანხარ შენს უმცროს ძმებზედო?“ - „ოჰ, ნეტავ არ გეკითხათ, მაგრამ რადგან მკითხეთ, გეტყვითო! - მაგათ, მაგ ჩემს ძმებს ვერ შეხვდათ შესაფერი ცოლები, სულ ქმრების წინააღმდეგ საქმეს ჩადიან, სულ უსიამოვნება აქვსთ და ჯავრმა გასტეხა და დააბერაო; მე კი ჩემი მორჩილი და მოსიყვარულე ცოლი შემხვდა, ჩემს უსიამოვნოს არას ჩაიდენს, ავ სიტყვას არას მეტყვის, თვალსა და წარბში მიყურებს, აცა რა ესიამოვნებაო. ვცხოვრობთ ტკბილად და არა ვბერდებით. აი ეხლა ეს ერთხელ ჩემს უნებურად გამომეღვიძა და აგერ ერთი ჭადარა გამომერიაო“. მადლი უთხრეს და წამოვიდნენ თავის ქვეყანაში კაცები.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899ა: 14)

აღნიშნულ ტექსტში სტერეოტიპული სიუჟეტური ქარაგაა გამოყენებული, რომელიც ეფუძნება გარკვეული ინფორმაციის მიღბის ფუნქციას. ამბავი აგებულია სამმაგობის პრინციპის დაცვით. მოქმედება ვითარდება უმცროსი ძმიდან -უფროსისაკენ. უმცროსი ძმა ინფორმაციის მაძიებელს აგზავნის შუათანა ძმისკენ, ხოლო შუათანა ძმა-უფროსი ძმისკენ. ამ მოგზაურობაში მაძიებელი სასურველ სდეგს იღებს მხოლოდ უფროს ძმასთან სტუმრობის შემდეგ, რომელიც როგორც აღმოჩნდება, თავის უმცროს ძმებთან შდარებითგაცილებით უკეთ, ახალგაზრდულად გამოიყურება კარგი მეუღლის წყალობით.

ზემოთ მოტანილ ტექსტში სასურველი ინფორმაციის მიღების და ახალგაზრდული იერის შენარჩუნების საიდუმლოს გახსნის კულმინაციური მომენტი ტექსტის დასკვნით ნაწილშია კონცენტრირებული.

თ. ქურდოვანიძის მიხედვით, ქართულ საზღაპრო ეპოქაში „კარგი ცოლის“ ეპიზოდი სხვაგვარადაცაა გაფორმებული. კერძოდ, „მაძიებელ გმირთან შეხვედრილი სამი ძმა საძიებელი ობიექტის ადგილსამყოფელის მითითების ნაცვლად მას შიშს აღუძრავს ნათქვამით: „ამ გზაზე ჩავლილი ბევრი გვინახავს, ამოვლილი კი არავინო“. ძმები თავიანთი ცხოვრების ამბის მოყოლასაც (გმირს იგი აინტერესებს) უკან მობრუნების დროს ჰპირდებიან. ეს გმირის დასაჩუქრების ნეგატიური ფორმაა. მართალია, გზას არ მისწავლიან, მაგრამ ნათქვამით მიაწინებენ, რომ სწორედ ამ ძნელი გზითმივა საძიებო ობიექტამდე.“ (ქურდოვანიძე, 2011: 160)

ჯადოსნული ზღაპრის სიუჟეტურ ხაზსი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წინასწარმეტყველურ სიზმარს. ის ადმიანის ყოველდღიური ცხოვრების თანამდევია მოვლენაა. ზოგიერთი მკვლევარის მიერ კულტურის ნაწილადაც არის მიჩნეული და სამეცნიერო ინტერესი მისადმი ყოველთვის არსებობდა.“ (ხუციშვილი, 2009)

სიზმრისგან განსხვავებით წინასწარმეტყველური სიზმარი გაცილებით იშვიათია და მაშინ ჩნდება ზღაპარში, როდესაც გმირი მისი განსაკუთრებული საჭიროების (ცნობიერად ან არაცნობიერად) წინაშე დგება. ჩვენს ხელთ არსებულ ტქსტებს შორის ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ზღაპარი „იღბლის სასწორი“.

„იღბლის სასწორი (ზღაპარი). ერთი გლეხი - კაცი იყო, რომელსაც ერთი ვაჟი შვილი ჰყავდა; მოინდომა მამამ შვილის დაქორწილება, დაუწყო კარგ ქალს ძებნა, მაგრამ არავინ მოეწონა; ბოლოს გაიგო, რომ ერთ სოფელში, ერთს კაი ოჯახისშვილს ქალი ჰყავს გასათხოვარიო, ადგა და წავიდა. მივიდა იმ სოფელში და პირდაპირ იმ სახლში შევიდა,

ვისაც ქალი ჰყავდა გასათხოვარი, გამოიკითხა ყველაფერი, თუ ან მზითევი რა ჰქონდა, ან ქალი რა ხნისა იყო და მერე ქალის ნახვა სთხოვა. სახლის პატრონებმა შემოიყვანეს მშვენიერი ქალი, რომლის მსგავსი იმ წყალზე ორიც არ მოიპოვებოდა. კაცს მოეწონა, გარიგდნენ საქორწილოზე. დააწყეს საქმე, თუ ქორწილი როდის უნდა გადიხადონ, მისცა ბელგა ქალს და გახარებული დაბრუნდა შინ. კარებში ცოლი და შვილი მიეგებნენ, ჰკითხეს: „რა ჰქენ, ცარიელა ხომ არ მოხვედიო?“ , კაცმა სიხარულით უამბო ყველაფერი: „იმისთანა ქალი დავნიშნე, რომ იმის მსგავსი არავინ მოიპოვებო“. დაიწყეს მზადება ქორწილისთვის, ვაჟმა შეიკერა სანეფო ტანისამოსი, შეუკვეთა ახალგაზრდა ბიჭებს მაყრობა, მეჯვარეობა და მოემზადნენ დანიშნულ დღისათვის ქალიანთსა წასასვლელად. მოვიდა ის დღეც; შესხდნენ ნეფე და მაყრები ცხენებზედ, სიმღერით და მხიარულად მიუახლოვდნენ სოფელს, დაწინაურდა მახარობელი, მივიდა ჭენებით დედოფლიანთსა, ჩამოხტა ცხენიდან და მხიარულად დაიძახა:

მე ვარ მახარობელი, სახლის გამხარებელი,
მიჭამია მბალი. ამიხვიეთ მხარი!!

სასიამორომ გამოუტანა საღვინით ღვინო, დაუსხა ჯამზე მახარობელს და დააღვინა, რომ დაცალა ღვინო, აისროლა მაღლა ჯამი, გადმოიგდო თოფი და ესროლა ძირს წამოსულს ჯამს, რომელიც თოფის ტყვიისაგან დამტვრეული ძირს ჩამოვარდა; დასცეს კიჟინა მაყურებლებმა. ნეფიონნი რომ ასე სიხარულით მოდიოდნენ, მაყურებელი დედაკაცები ხელს გულში იცემდნენ და ამბობდნენ: „უი, დედასა! რა კაი ბიჭია და ვინ უნდა წაიყვანოს, ი მუხის ჯირკვი, განა სხვა ქალი აღარ იშოვებოდა ქვეყანაზე?“ ბევრს ამისთანებს ამბობდნენ დედაკაცები, რომლებმაც თითო-ოროლა სიტყვა მაყრებსაც გააგონეს; მაყრებმა ნეკზე იკბინეს, აქ რაღაც ამბავიაო და ერთმანეთი გააფრთხილეს. მივიდნენ, გამოეგებნენ ნეფეს და მაყრულით შეიყვანეს სახლში. მაყრებმა დაინახეს სახლში იმისთანა ვაჟკაცები, რომ თავიანთი თავი დაავიწყდათ. დასვეს ნეფე და წავიდა მეჯვარე ქალის გამოსაყვანად. შევიდა მეორე ოთახში, სადაც მორთული პატარძალი იჯდა გარ ქალებ-შემოხვეული, ეცა ელდა, რომ დაინახა ერთი უმსგავსი რაღაც, სახე-დარუმბებული, რომელსაც სიმსუქნისგან თვალები ძლივს-ღა უჩანდა, დაბალი და მეტად სქელი, მართლაც რომ მუხის ჯირკვი პატარძალი. უნდოდა ცარიელა გაბრუნებულიყო, მაგრამ დამზადებული ბიჭებისა ეშინოდა. მეტი რა ჯანი იყო! წამოიყვანა ჩლახა-ჩლუხით ორთავე ფეხებით კოჭლი პატარძალი და მოუსვა გვერდით ნეფეს. ნეფემ ერთი კი შეხედა გვერდზედ, გაუსკდა გული და აარიდა თვალი. ჩაუთვალეს ხელი, დალოცეს როგორც მამა-პაპათა წესი იყო და ძალის-ძალათი წაათრიეს საყდარში ჯვარის დასაწერად. ბევრი იბოზოქრეს ნეფიონმა, არ დაეწერთ ჯვარსო, მაგრამ ძალა აღმართსა ჰხნავსო, ნათქვამია. დასწერეს ჯვარი ძალის-ძალათი, აღარც საყდარში უარის თქმამ გასჭრა და დაბრუნდნენ სახლში. ისე გახდა ნეფე, თითქოს მშობლები დაჰხოცოდესო. სჭამეს ვახშამი და ნეფე-დედოფალი ცალკე ოთახში მოასვენეს. მალე დედოფალმა ამოუშვა ისეთი ხვრინვა, რომ გულიანად მძინარსაც კი გააღვიძებდა, ნეფეს რაღა დაადინებდა! დაღონებულმა სთქვა: „თუ ვუშველი თავს, ეხლა ვუშველიო, მე ამ ქალს ვერ წავიყვანო!“ ადგა, ჩაიცვა, გამოვიდა გარედ, შეჯდა უბრალო ცხენზე და გაეშურა მინდვრისაკენ. იარა კარგა ხანი. ბოლოს ძილი მოერია, იქვე თივის ძირები იდგა, მივიდა, გადმოხტა ცხენიდან, მიუშვა თივაზე ცხენი და თვითონაც მიიძინა. ძილში ნახა სიზმარი: ჩამოეშვა ციდან სასწორი, ცალ მხარეს გაჩნდნენ ქალები და მეორე მხარეს კაცები. შედგება ქალი სასწორზე, შედგება კაცი მეორეზე, მოვლენ თანაბარი წონისა, დალოცავს მესასწერე და წავლენ. ახლა მეორე, ახლა მესამე და ასე იწონებოდნენ. ამ ნეფეს რომელი ქალიც მოეწონება, გაექანება და შეუხტება, მაგრამ არ მოვლენ წონაში და გადმოაგდებენ, ახლა კიდევ - ახლა კიდევ; ბოლოს სულ გაიწონენ სუყველანი. ვნახოთ, მოვიდა ამ კაცის დედოფალი და შედგა ძლივს სასწორზე. „აი

გაგიწყრა ჩემი გამჩენიო” - სთქვა ნეფემ და თითონაც შედგა, ისე მოვიდნენ წონაში, რომ მისხალი არსაით გადასძლეოდა. ბოლოს მესასწორემ უთხრა:

- „ეგ არის შვილო, შენი ბედი, ტყვილად გარბი, წადი და იცხოვრეო“.

რას იზამდა საწყალი? გამოეღვიძა, შეჯდა ცხენზე და ისევ დაბრუნდა თავის მზეთუნახავთან. მოვიდა კარებთან, სადაც ხვრინვა შემოესმა თავის ცოლისა, „აი ხრჩობაო!“ სთქვა და შევიდა სახლში, გაიხადა, დაწვა. მალე გათენდა, ადგა ჩაიცვა, გაიღვიძა დედოფალმა, მდადი შემოვიდა, ჩააცვა და გამოვიდნენ დარბაზში. გაშალეს სუფრა, ისაუზმეს და გამოემგზავრნენ შინისაკენ. არც მახარობელი გაგზავნეს და არც, შევიდნენ დაღონებულები სახლში. „რა იყო შვილო?“ მისცვიდნენ მშობლები. „რატომ არა მღერით?“ „ობრადაც დაგირჩათ სიმღერა, წადით და ჯერ პატარძალი გადმოიღეთ და მერე მკითხეთო“... მივიდნენ, გადმოსვეს პატარძალი, ეცათ ელდა, მაგრამ რა გაეწყობოდა, დამორჩილდნენ ბედსა. მამა ჰფიცავდა: „მე ეს თვალთ არ მინახავს. მე ლამაზი ქალი ვნახე და ის დავნიშნეო“, მაგრამ დედოფლის მაყარმა გაუშლავნა და უთხრა: „ის ქალი თქვენი პატარძლის ძალუა იყო“. ასე კი იყო, მისცა ბედის სასწორმა და საწერელმა ის ქალი, მაგრამ მომავალს კი ბედნიერებით მიეგებნენ. ის კაცი იტყოდა ხოლმე: „მართალია, უმსგავსი ცოლი შემხვდა, მაგრამ სულ ოქროს ქოჩრიანი ზავშვები მოგვეცაო და დოვლათმა ჩვენსა დაიბუდაო.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899ბ: 10)

სიუჟეტი სტანდარტულად ვითარდება. მამა შვილისთვის საცოლის მოსძებნად და დასანიშნად სხვა სოფელში მიემგზავრება. იპოვა კიდეც შესაფერისი საპატარძლო, დანიშნა და შინ გახარებული დაბრუნდა სასიხარულო ცნობით. გარკვეული სამზადისის შემდეგ საპატარძლოსთან ჩასული მაყარიონი აღმოაჩინეს, რომ იგი სულაც არ აღმოჩნდებოდა ისეთი, როგორი მოლოდინებიც სტუმრებში არსებობდა. მთხრობლის სიტყვებით, რომ ვთქვათ: „ერთი უმსგავსო რაღაც, სახე-დარუმბებული, რომელსაც სიმსუქნისგან თვალები ძლივს უნჩანდა, დაბალი და მეტად სქელი, მართლაც რომ მუხის ჯირკვი პატარძალი.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899ბ: 10) ამ სანახაობით იმედგაცრუებული სასიძო, პირველივე ხელსაყრელი მომენტის პოვნისას, გარბის სახლიდან „თავის შველის“ მოტივით. დაიღლება და დასასვენებლად მინდორში მიწოლილს ჩაეძინება. სწორედ აქ სწორედ აქ იბადება წინასწარმეტყველური სიზმარი. ეს ლოგიკურიცაა. გმირი განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფება. სიზმარი კიდეც უფრო ამძაფრებს ვითარებას და მივყავართ კულმინაციისკენ. გმირის ბოლოდროინდელ ცხოვრებაში განვითარებული მოვლენები, განცდილ და მიღებულ შთაბეჭდილებების ზეწმოქმედება განაპირობებს სიზმირის დაბადებას.

საგულისხმოა, რომ სიზმარის შემოიტანა სიუჟეტში ორი სახით ხორცილედება. ერთის მხრივ, ხილვა მოკლეა, ლაკონური, იხმო, გმირი თავად იაზრებს სიზმრად ნანახს და ლოგიკურ ახსნას აყალიბებს საკუთარი გონების წიაღში, ხოლო მეორეს მხრივ, ხილვა საკმაოდ მძაფრი, მოქმედებებითა და დიალოგებით დატვირთული, თუმცა, ორივე შემთხვევაში მიზანი ერთია-გმირის გაფრთხილება, საფრთხის თავიდან აცილება, ინფორმირება და მისთ.

ჩვენ შემთხვევაში მეორე ტიპის სიზმართან გვაქვს საქმე.

„იარა კარგა ხანი. ბოლოს ძილი მოერია, იქვე თივის ძირები იდგა, მივიდა, გადმოხტა ცხენიდან, მიუშვა თივაზე ცხენი და თვითონაც მიიძინა. ძილში ნახა სიზმარი: ჩამოეშვა ციდან სასწორი, ცალ მხარეს გაჩნდნენ ქალები და მეორე მხარეს კაცები. შედგება ქალი სასწორზე, შედგება კაცი მეორეზე, მოვლენ თანაბარი წონისა, დალოცავს მესასწერე და წავლენ. ახლა მეორე, ახლა მესამე და ასე იწონებოდნენ. ამ ნეფეს რომელი ქალიც მოეწონება, გაექანება და შეუხტება, მაგრამ არ მოვლენ წონაში და გადმოაგდებენ, ახლა კიდეც - ახლა კიდეც; ბოლოს სულ გაიწონენ სუყველანი. ვნახოთ, მოვიდა ამ კაცის დედოფალი და შედგა ძლივს სასწორზე. „აი გაგიწყრა ჩემი გამჩენიო“ - სთქვა ნეფემ და

თითონაც შედგა, ისე მოვიდნენ წონაში, რომ მისხალი არსაით გადასძლევდა. ბოლოს მესასწორემ უთხრა:

- „ეგ არის შვილო, შენი ბედი, ტყვილად გარბი, წადი და იცხოვრეო“. (აკაკის თვითური კრებული, 1899ბ: 10)

„სიზმარი უძველესი დროიდან არის გაგებული ღვთის ნების უწყებად, რაც მის კომუნიკაციურ ბუნების ფუნქციას გახაზავს.“ (ქურდოვანიძე, 2012: 45)

ზემოთ მოტანილ ზღაპარშიც ნანახი სიზმარი გმირის მიერ აღქმულია ღვთის ნებად, რომელსაც წინ ვერავინ აღუდგება. სიზმრის ეპიზოდის შემდეგ პირველივე წინადადება გვეუბნება: „რას იზამდა საწყალი? გამოეღვიძა, შეჯდა ცხენზე და ისევ დაბრუნდა თავის მზეთ-უნახავთან.“

მიუხედავად მოვლენათა ამდაგვარი განვითარებისა, ზღაპრის დასასრული უფრო ოპტიმისტური და პოზიტიური. ვინაიდან გმირმა მიიღო არსებული რეალობა და ასრულებს სიზმრიდან ნანახზე წინასწარმეტყველებას, შესაბამისად ის იღებს გარკვეულ ჯილდოს ზებუნებრივ ძალთაგან: „ასე კი იყო, მისცა ზედის სასწორმა და საწერელმა ის ქალი, მაგრამ მომავალს კი ბედნიერებით მიეგებნენ. ის კაცი იტყოდა ხოლმე: მართალია, უმსგავსო ცოლი შეხვდა, მაგრამ სულ ოქროს ქოჩრიანი ბავშვები მოგვცაო და დოვლათმა ჩვენსა დაიბუდაო.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899ბ: 10)

როგორც წესი, ქართულ ხალხურ ზღაპრებში განფენილ წინასწარმეტყველურ სიზმრების ახსნა და გაცნობიერება შესაძლებელი ხდება ხალხის რწმენა-წარმოდგენებში, საუკუნეების მანძილზე, ჩამოყალიბებული ხატ-სიმბოლოების გააზრებით, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ჯადოსნული ზღაპრის სიუჟეტური ქარგის, ამ ფრიად ორიგინალურ და უმნიშვნელოვანეს ელემენტს.

დასკვნა. ამრიგად, უნივერსალიების, ანუ ტიპობრივად მსგავსი ელემენტების ჩამოყალიბება შედარებით გვიანდელი მოვლენაა. მათი დახვეწა და განვითარება არასდროს შეწყვეტილა. ასეთი წარმონაქმნები საუკუნეების განმავლობაში მონაცვლეობდნენ ერთი ზღაპრიდან მეორეში. სიუჟეტური განსხვავებულობის შესაძლებლობების მიუხედავად მათთვის დამახასიათებელია კომპოზიციური მთლიანობა. ბუნებრივია, შესაძლებელია განსხვავებულ მთქმელთა ვერბალური გადმოცემის შესაძლებლობათა მიხედვით მათი გარჩევა, თუმცა სხვადასხვა გემოვნების და შესაძლებლობების მთქმელთა ტექსტური განსხვავებულობა სავსებით ბუნებრივია, ხოლო მათი ძირითადი ვერტიკალი კი საერთოა.

ასეთი ტიპის უნივერსალიები ზღაპრის განსაკუთრებულ, ორიგინალურ ელფერს ძენენ და მისი კომპოზიციის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელი ელემენტებია.

გამოყენებული ლიტერატურა

- აკაკის თვითური კრებული. (1899)ა. პურის მარცვალი (მეწისქვილის ნაამბობი). # I, განყ. II.
აკაკის თვითური კრებული. (1899)ბ. იბლისის სასწორი (ზღაპარი, წარმოდგენილი თ. ა. მაჩაბლის მიერ). # XI, განყ. II.
აკაკის თვითური კრებული. (1899)გ. ყაჩაღების ამხანაგი (ზღაპარი, ჩაწერილი ა. მაჩაბლის მიერ). # IV, განყ. II.
ქურდოვანიძე, თ. (2011). *ქართული ფოლკლორის პოეტიკა*. თბილისი.
ქურდოვანიძე, თ. (2012). წინასწარმეტყველური სიზმრის ხატ-სიმბოლოები ხალხურ ლექსებში. *ქართული ფოლკლორი*. 6 (XXII). თბილისი.
ხუციშვილი, ქ. (2009). *სიზმარი ქართულ ყოფაში*. თბილისი.

REFERENCES

- ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]*. (1899)a. p'uris martsvali (mets'iskvilis naambobi) [A Grain of Bread (a Tale of a Mill)]. # I, Section II.
- ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]*. (1899)b. ighblis sasts'ori (zghap'ari, ts'armodgenili t. a. machablis mier) [The Scale of Fortune" (a tale, Presented by T. A. Machabeli)]. # XI, Section II.
- ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]*. (1899)g. qachaghebis amkhanagi (zghap'ari, chats'erili a. machablis mier) [The Robbers' Comrade" (a Tale, Recorded by A. Machabeli)]. # IV, Section II.
- kurdovanidze, t. (2011). *kartuli polk'loris p'oet'ik'a [Poetics of Georgian Folklore]*. Tbilisi.
- kurdovanidze, t. (2012). ts'inasts'armet'qveluri sizmris khat'-simboloebi khalkhur leksebshi [Prophetic Dream Icons and Symbols in Folk Poems]. *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. 6 (XXII). Tbilisi.
- khutsishvili, k. (2009). *sizmari kartul qopashi [A Dream in Georgian Being]*. Tbilisi.